



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დანელია ნიკოლოზ თედორეს ძე

დანელია ნიკოლოზ თედორეს ძე [15(28). IX. 1905, სოფ. ლეხაინდრაკო, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, - 27. IX. 1977, თბილისი], ჰიდროტექნიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1959), პროფესორი (1960), საქართვე. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1967).

1931 დაამთავრა ამიერკავკ. საინჟ.-მელიორ. ინ-ტი თბილისში და იქვე დაიწყო მუშაობა. 1932-38 მუშაობდა მოსკოვში ჰიდროტექ. და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში უფრ. მეცნ. თანამშრომლად, 1938-45 - ნორილსკის სამთო მეტალ. კომბინატში (1942-იდან ამ კომბინატის წყალმომარაგების პროექტის ავტორი და მთ. ინჟინერი), 1945-48 იყო ბულაჩაურის წყალსადენის სისტემის მშენებლობის მთ. ინჟინერი.

1948-61 ხელმძღვანელობდა საქართვე. ჰიდროტექ. და მელიორ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის ჰიდროტექ. ლაბორატორიას. 1962-76 იყო საქართვე. პოლიტექ. ინ-ტის ჰიდრავლიკურ და ჰიდროტექ. ნაგებობათა კათედრის გამგე, ხოლო 1976-იდან გარდაცვალებამდე - ამავე ინ-ტის ჰიდრავლიკის და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის კათედრის გამგე. მისი შრომები უმთავრესად ეხება წყალმიმღებ ნაგებობათა მშენებლობის საკითხებს. საქართველოში სარწყავი სისტემების მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად მიენიჭა საქართვე. სახელმწ. პრემია (1971).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თბზ.: ჰიდრავლიკა (სახელმძღვანელო), თბ., 1972; Водозаборные сооружения на реках с обильными донными наносами, М., 1964; Новые водозаборные сооружения и водохранилища на горных и предгорных участках рек, М., 1975

(თანავი).
